ხაშურის მოამბე

№33 (454) 2 სექტემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

#27/08/02 2024 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 108 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2024 წლის 26 ოქტომბერს.

სალომე ზურაბიშვილი



ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

პროექტით, შენობის სრული რეკონსტრუქციაა განხორციელდა. ამ ეტაპზე სრულდება როგორც დარბაზის, ასევე, კულისებისა და ადმინისტრაციული ოთახების მოწყობა.

დარბაზში სრულდება თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემების მონტაჟი შესაბამისი აკუსტიკით. მოწესრიგდა წყლის და კანალიზაციის სისტემები, მოეწყო გათბობა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ხაშურის საქალაქო კულტურის სახლი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა, რეაბილიტაციის პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა, თუმცა, ამ ეტაპზე პროექტი გეგმიურად სრულდება.

საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციის შემდგომ ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ახალ დატვირთვას შეიძენს.

ხაშურში, მდინარე სურამულას კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

მდინარე იწმინდება სხვადასხვა სახის ნარჩენისგან, ლამისგან, ლაქაშისგან, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან. ეს არის კომპლექსური ღონისძიება, რაც მნიშვნელოვანია, როგორც სტიქიის პრევენციისთვის, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

სამუშაოები მთლიანად მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 171 935 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ პირის მიმართ, ვინც არ აბინძურებს მდინარეს და ზრუნავს გარემოს დაცვაზე.

იწმინდება მდინარე შოლას კალაპოტი

დღეს სამუშაოების მიმდინარეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა დაათვალიერეს.

პროექტი ნაპირსამაგრი კედლის მოწყობას ემბავუდისა და ყოფილი სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე ითვალისწინებს.

სამუშაოების ღირებულება 499 390 ლარს შეადგენს.

უკვე დასრულებულია ტენდერი და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურები გარდამავალ პროექტზე, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება, 2025 წელსაც გაგრძელდება და მოიცავს შოლის ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის სამუშაოებს სამხედრო ნაწილიდან ბაზრის ტერიტორიამდე.

პარალელურად, დაწყებულია შოლას გაწმენდაც. პროექტი, რომელიც მდინარის სრულ გაწმენდას ითვალისწინებს, ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით ხორციელდება. მისი ღირებულება 147 767 ლარია.

შოლის გაწმენდის და ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის სამუშაოები მნიშვნელოვანი პრევენციული ზომაა შესაძლო სტიქიის წინააღმდეგ.

- ს კ ო ლ ა -

ახალი სასწავლო წელი კარს მოგვადგა, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემა მზადაა ყველა გამოწვევისთის

სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის განათლების სისტემა ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის წარსულით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი წინაპრები, ქვეყნის მმართველები, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მერე, ზრუნავდნენ კულტურის, ხელოვნების და განათლების განვითარებაზე, ამის გარეშე ვერ იარსებებდა ქართული დამწერლობის უნიკალური და ულამაზესი დამწერლობის 3 ნაირსახეობა, არ დაიწერებოდა პოემა „ვეფხისტაყაოსანი'', რაინდობის, გმირობის, მეგობრობის, პატრიოტიზმისა და სიყვარულის უკვდავი ჰიმნი, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება ... ფუნქციონირებას ვერ შეძლებდნენ - ფაზისის, გელათისა და იყალთოს აკადემიები. არ შეიქმნებოდა მითი არგონავტებზე და მედეაზე... ამ მემკვიდრეობის მქონე ხალხს განათლების სიტემა შესაბამისი და მაღალხარისხოვანი უნდა გვქონდეს და ქვეყნის განვითარების სტრატეგიაც ახალგაზრდების სწავლა - განათლების ხარისხზე უნდა გადიოდეს. განათლება და კულტურა განუყოფელია სკოლისა და მასწავლებლის

პროფესიისაგან, მასწავლებლობა არის ერთადერთი პროფესია, რომელიც ქმნის ყველა დანარჩენ პროფესიას მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა ღვთით ნაკურთხი და დალოცვილია, განსაკუთრებით სწორი აღზრდისა და განათლების საკითხი თანამედროვე ციფრულ საუკუნეში უაღრესად პრიორიტეტულ გამოწვევებს ქმნის და მასწავლებლისგან დიდ ცოდნასა და ოსტატობას მოითხოვს. უმეტესად, ცარცის და დაფის სასკოლო გარემოდან ციფრული სწავლებისა და წიგნიერების საუკუნეში შევდივართ, ხელოვნური ინტელექტი უკვე ყოველდღიურ რეალობად იქცა და ფეხი რომ ავუწყოთ მეცნიერულ - ტექნიკურ პროგრესს, ჩვენი საგაკვეთილო პროცესიც მოქნილი და თანმხვედრი უნდა გახდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარე განვითარებასთან. სკოლის, მაწავლებლის, მოსწავლის აწმყო და მომავალი მუდმივ დინამიკასა და განვითარებაშია.

ახალი, 2024-2025, სასწავლო წლის დაწყებას როგორ ხვდება ჩვენი მუნიციპალიტეტის სასკოლო საზოგადოება, რომელიც მოიცავს 33 ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას, 8000 მდე მოსწავლეს, 874 მასწავლებელს, მოსწავლეთამშობლებსდა გარეშე პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი და გულშემატკივარნი არიან სკოლებში მიმდინარე პროცესების. გამოწვევებიდან უპირველესი პრიორიტეტი პედაგოგთა პროფესიული ზრდაა და ამაყად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პედაგოგიური საზოგადოება მუდმივი პროფესიული ზრდის პროცესშია, გვყავს 32 მენტორი, 300 წამყვანი და 510 უფროსი მასწავლებელი, უსტატუსო მასწავლებლის რაოდენობა უაღრესად მინიმალურია. თითოეული სკოლა ძლიერ პროფესიულ „სამჭედლოს“ წარმოადგენს, სადაც ახალგაზრდა პედაგოგები, უფროს კოლეგებთან ურთიერთობაში, სწავლობენ მასწავლებლობას, ეუფლებიან სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას, ოსტატდებიან, გვყავს ბევრი გამორჩეული და წარმატებული პედაგოგი, მათ შორის, ექვსი სკოლის საუკეთესო მასწავლებელი წარდგენილია მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე, რომელთა გამოცდილება პედაგოგების პროფესიული საქმიანობის საუკეთესო ისტორიებს წარმოადგენს.

სკოლებში მიმდინარე სასაწავლო პროცესის ხარისხის მთავარი ინდიკატორი სკოლების თვითშეფასება და ავტორიზაციის პროცესია, რომელიც ყველა სკოლამ უნდა გაიაროს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება მოიპოვოს. ჩვენს მუნიციპალიტეტში ავტორიზაცია გაიარა 9 საჯარო სკოლამ, პროცესი საინტერესო გამოწვევების მქონეა, რომელიც აჩვენებს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რა მიმართულებით უნდა გაამახვილოს სასკოლო საზოგადოებამ ძალისხმევა, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა და სკოლის სამუშაო გეგმა მოქნილი, რეალური და მორგებული იყოს სკოლის საჭიროებებზე.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და რესურსცენტრის გამოწვევებიდან უაღრესად მნიშვნელოვანი სკოლების ინფრასტრუქტურების და უსაფრთხო სასკოლო გარემოს მოწესრიგებისთვის ზრუნვაა, რომლისათვის დიდი ფინანსური რესურსებია საჭირო. ახალ სასწავლო წლიდან რებილიტირებულ სკოლებს შეემატება სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 და სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლები, სადაც სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პარალელურად, ხდება სასკოლო ინვენტარითა და ავეჯით ოსიაურის საჯარო სკოლის მომარაგება, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა მომზადებული შეხვდეს სასწავლო პროცესის განახლებას. მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს სსიპ ქალაქ ხაშურის N4 , სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევის საჯარო სკოლებში.

უსაფრთხო სკოლის მოდელიდან გამომდინარე, დიდი სიფრთხილით მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი, ინფრასტრუქტურის სააგენტოს მუდმივი კონტროლისა და ზედამხედველობის ფონზე, ბეღლითის დაწყებითი სკოლის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, ვართ მოლოდინის რეჟიმში, ამჟამად მიმდინარეობს სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყის საჯარო სკოლის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები ახალი თანამედროვე სკოლის შენობის ასაშენებლად, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის , ამ მიმართულებებზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ბევრი სკოლის შენობა ძველია და ახალ გამოწვევებს ვერ პასუხობს. პირველ რიგში, ხდება სკოლების ინფრასტრუქტურის მდგარდობისა და სანდოობის შესწავლა სამხარაულის ექპერტიზის მიერ და შემდეგ იგეგმება

რეაბილიტაცია თუ მშენებლობა, ასევე, ვერ ვიამაყებთ საბუნებისმეტყველო კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისა და აღჭურვის დონით, სამინისტროში ამჟამად მუშავდება მოთხოვნები და კრიტერიუმები კაბინეტების თანამედროვე ხელსაწყოებით სასწავლო რესურსებით აღჭურვისა და უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის , რომ შემდეგ ორგანიზებულად მოხდეს შესყიდვები და სკოლებზე მიწოდება, ასევე, მნიშვნელოვანია სკოლების ვიდეო-სათვალთვალო კამერებითა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვა, რაზეც მუშაობენ სამინისტროს ექსპარტები შესაბამის უწყებებთან ერთად.

ზაფხულის პერიოდში ინტენიურად მიმდინარეობს სკოლების მომარაგება სასწავლო რესურსებით, უკვე ორგანიზებულად მოხდა მომავალი პირველი კლასელებისთვის განკუთვნილი კომპიუტერების შემოტანა და სკოლებზე მიწოდება. როგორც უკვე დანერგილი პრაქტიკა გვაქვს, 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებისთანავე, საჯარო სკოლების პირველი კლასის ყველა მოსწავლე მიიღებს საჩუქრად პერსონალურ კომპიუტერს, რომლის გარეშე სასწავლო პროცესი ვერ იქნება წარმატებული და ნაყოფიერი. ამ მიზნით შემოტანილია, ეგრეთწოდებული, „ნოუთ ბუქები „, ჯამური ღირებულებით - 527460 ლარი.

გვაქვს რეზერვი, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხული პირველი კლასის მოსწავლეებისთვისაც. პერსონსლური კომპიუტერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლისათვის და ეს პროექტი ძალიან წამატებულია. ასევე, „ნოუთბუქები „ გადაეცა პირველი კლასის ხელმძღვანელ ყველა პედაგოგს. ციფრული ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სკოლა. ასევე, პერიოდულად მიმდინარეობს სკოლების მოთხოვნების შესაბამისად, კომპიუტერული ლაბორატორიების განახლებისა და აღჭურვის პროცესები.

სკოლებზე ორგანიზებულად დარიგდა სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი, რომლებიც უფასოდ გადაეცემათ მოსწავლეებს სასაწავლო პროცესის დაწყებისთანავე. უფასო სახელმძღვანელოების პროექტი დიდი ფინანსური შეღავათია ოჯახებისთვის, რომლებსაც სასკოლო ასაკის მოსწავლეები ჰყავთ.

სკოლებზე გადაცემულია 108361ლარის ღირებულების წიგნები, გადასაცემად მზადაა 98763 ლარის ღირებულების საკლასო რვეულები , მომავალში ველოდებით წიგნების შემდეგ ნაკადს - სექტემბრის 10 რიცხვისთვის.

სახელმძღვანელოების ნაწილი, ასევე, გადაეცემა კერძო სკოლის ადმინისტრაციას სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის.

პედაგოგებისა და მოსწავლეთა მაღალი მოტივაციის შედეგია ის, რომ საბაზო საფეხურის 575 კურსდამთავრებულიდან 123 მოსწავლე წარდგენილია „ჩემი პირველი კომპიუტერის პროგრამის“ ფარგლებში, ჯილდოზე. წარჩინებული აკადემიური მოსწრებისათვის გადაეცემათ პერსონალური კომპიუტერები საჩუქრად. მე- 12 კლასის 559 კურსდამთავრებულიდან ოქროსა და ვერცხლის მედალზე წარდგენილია 121 მოსწავლე. ეროვნული გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე , ბევრი მოსწავლე წარმატებით ჩაირიცხა უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამების პირველ კურსზე და ბევრი მათგანი გახდა სახელმწიფო გრანტის მფლობელი.

წარმატებით მუშაობს მოსწავლეთა სატრანსპორტო საშულებებით, მიკროავტობუსებით, სკოლებში მიყვანის პროექტი და ამ პროექტში ჩართული 18 სკოლის მოსწავლეები აქტიურად გადაადგილდებიან სოფლებიდან, რომელთა საცხოვრებელი სკოლის შენობასთან დაშორებულია 2 კმ-ით და მეტით.

კიდევ რამდენიმე დღე და გამოცოცხლდება სკოლები მოსწავლეთა მხიარული ხმებით და აფერადდება საკლასო ოთახები, მიუხედავად განათლების მუშაკთა დიდი ძალისხმევისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, რაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის თავდადებულ და შეუპოვარ ძალისხმევას საჭიროებს, მაგრამ საგანმანათლებო პროცესში არ არსებობს უკანდახევა და მხოლოდ წარმატებებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი, რომ ჩვენ მიერ აღზრდილი მოქალაქეები მსოფლიოს გლობალური პროცესების მონაწილენი გახდნენ და ეროვნულ ღირებულებებთან ერთად, დაეუფლონ მსოფლიო მოქალაქისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

მანანა აბაზაძე,
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28,29,30,31)

თუ ამჯერად მხოლოდ პარტიიდან გარიცხვით კმაყოფილდებოდნენ, 1937 წლიდან უკვე ფიზიკურ განადგურებას მიჰყვეს ხელი. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, რიგითი მუშაკები თუ მოქალაქეები აღმოჩნდნენ რეპრესიების მსხვერპლნი. ისინი, ვინც 20-იან წლებში აქტიურად ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს, დღეს თავად აღმოჩნდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. 1937 წელს მთლიანად შეიცვალა ხაშურის რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა. არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი რგოლი სადაც ხალხის მტრები არ გამოევლინოთ, სათანადო პასუხი არ მოეთხოვათ და შესაფერისი სასჯელი არ მიეზღოთ.

აქვე გვინდა, შევნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ 1937 წლის რეპრესიებზე ბევრი დაიწერა, საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, არ არის გაანალიზებული მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში მიმდინარე ისტორიული პროცესების ჭრილში. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ იგი ამ პროცესებიდან ამოგლეჯილია და უფრო ხშირად ტენდენციურად განიხილება. იგი ღრმა ანალიზს მოითხოვს საჭირო საარქივო მასალების მოშველიებით, რომელიც ჯერ-ჯერობით სრულად არ არის ხელმისაწვდომი მკველვარებისთვის.

1937 წელს რეპრესირებულნი იქნენ ძველი რევოლუციონური თაობის არაერთი წარმომადგენელი, ერთი ნაწილი სიკვდილით დასაჯეს (გ. კალმახელიძე, ვ. ქურდაძე, ლ. გოგოლაძე და სხვები), ხოლო მეორე ნაწილი გადაასახლეს (ი. ურიადმყოფელი და სხვა). მარტო 1937 წლის 5 ოქტომბერს 7 სასიკვდილო განაჩენია გამოიტანეს, 24 დეკემბერს კიდევ 4. 24 დეკემბერს დახვრიტეს სიმონ ბაბლიძეც. სასიკვდილო განაჩენში ნათქვამია: ,,ბაბლიძე არ ექვემდებარება გამოსწორებას. დაპატიმრებამდე იყო მენშევიკური იდეოლოგიისა და შეხედულებების მატარებელი. დაკითხვაზე დაადასტურა, რომ ამჟამადაც ამ პოზიციებზე რჩება. ბაბლიძემ შემოიკრიბა მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები, რომლებთანაც აწარმოებდა კონტრრევოლუციურ საუბრებს და მკვეთრსდ აკრიტიკებდა პარტიას კოლექტივიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. ამბობდა, რომ კოლექტივში შიმშილობენ და გლეხები ღარიბდებიან. ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, რომ მომავალში საბჭოთა ხელისუფლება შეიცვლებოდა. ბაბლიძე არის მავნე, გამოუსწორებელი და საშიში მენშევიკი...“

თუ როგორ შეიძლებოდა, ყოველგვარი განსჯის გარეშე, ადამიანებისათვის ,,ხალხის მტრის“ იარლიყი მიეკერებინათ, ამაზე კარგად მეტყველებს 1937 წელს ხაშურის სახელმწიფო თეატრში მომხდარი ამბავი. ამ წელს თეატრმა მაყურებელს უჩვენა სპექტაკლი ,,შორეული“. სპექტაკლის გაფორმებისას მხატვარმა ტაიგის ტყეში ერთი ხე ტოტებდამტვრეული დახატა. ადგილობრივი ხელისუფლების ერთერთმა წარმომადგენელმა ხის ტოტები ფაშისტურ სვასტიკას მიამსგავსა და გამოვიდა თეატრის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ – განგებ არის გაკეთებულიო. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ სპექტაკლის რეჟისორს ლ. ციცაგს დაპატიმრებას უპირებდნენ, ვიდრე საქმეში ხელოვნების კავშირი არ ჩაერია. ამ საქმის კვლევის დროს თეატრის ხელმძღვანელები დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გაირკვა და გაათავისუფლეს. რეჟისორმა ლ. ციცაგმა ხაშურის თეატრში დაბრუნება აღარ ისურვა და მუშაობა სამტრედიაში დაიწყო.

ქვეყანაში დაწყებულ რეპრესიებს ვერ ასცდა სკოლაც. არა მარტო პედაგოგები, არამედ მოსწავლეებიც ხდებოდნენ რეპრესიების მსხვერპლნი. თითქმის ქალაქის ყველა სკოლაში სწავლობდნენ ,,ხალხის მტრის“ შვილები. იმართებოდა კრებები, ამხელდნენ და კიცხავდნენ ,,ხალხის მტრის“ შვილებს. იყო შემთხვევები მოწინავე კომკავშირლების – მოსწავლეების ამ საქმეში ჩაბმისა. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა ხაშურის I საშუალო სკოლაში, როცა მეათე კლასის მოსწავლე, შემდგომში ცნობილი პროფესორი შოთა ცხოვრებაშვილი გარიცხეს არა მარტო კომკავშირის რიგებიდან, არამედ სკოლიდანაც კი. მისი მამა ალექსანდრე ცხოვრებაშვილი იმ წლებში სოფ. გომის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა და რეპრესირებულ იქნა. მართალია მცირე ხნის შემდეგ მოსწავლე კვლავ დააბრუნეს სკოლაში, მაგრამ მოზარდის ფსიქიკაზე ამ ფაქტმა მძიმე შედეგი იქონია.

ამავე სკოლაში ადგილი ჰქონდა პედაგოგებს შორის დაპირისპირებას. სკოლის დირექტორად მუშაობდა გ. ზ-ძე, რომელსაც ადგილობრივი გაზეთი ახასიათებს როგორც ,,ყოვლად უვარგისი ადამიანი“, რომელიც ,,თავის თანამდებობას ინტრიგანობისა და ბაქიაობისთვის იყენებდა“ და „სკოლის კეთილმოწყობისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის აღზრდისთვის კი თავს არ იწუხებდა“.

,,სკოლის აქტიურმა მასწავლებლებმა“ ამხილეს დირექტორის ,,უვარგისი მუშაობა“ და სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით მოხსნილ იქნა თანამდებობიდან. ამის შემდეგ ყოფილმა დირექტორმა ,,ხელი მიჰყო“ სკოლის განახლებულ ხელმძღვანელთა დამცირებისა და საბჭოთა მასწავლებლების მიმართ ცილისმწამებლური ბრალდებების შეთხზვას. სკოლის დირექტორს გ. ტაბატაძეს მან ცილი დასწამა ვითომ იგი ხალხის მტრების მოკავშირე იყოს, ანიავებდეს სკოლის საამშენებლო მასალას და ხელოვნურად ზრდიდეს ფრიადოსანთა რიცხვს. მსგავსი და სხვა მრავალი ბრალდებები შეუთხზა გ. ზ-ძემ საუკეთესო მასწავლებლებს ვ. ლომსაძეს და ვ. ხარაბაძეს.”

საქ. კპ (ბ) ხაშურის რაიკომის სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა გ. ტაბატაძის, ვ. ლომსაძის და ვ. ხარაბაძის მიმართ წაყენებული ბრალდებები, რომლებიც არ დადასტურდა და მოახდინეს მათი რეაბილიტაცია. რაც შეეხება გ. ზ-ძეს, როგორც `ცილისმწამებელი მოხსნა მასწავლებლობიდან და მისცა პასუხისგებაში.

მოქალაქეთა დიდი ნაწილი ხალხის მტრის იარლიყით გარიცხული იქნა პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან, ათავისუფლებდნენ სამსახურებიდან. ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ეს ხდებოდა ზოგიერთი პარტიული და კომკავშირული მუშაკის დასმენით, ისინი ცდილობდნენ, ამ გზით მოეპოვებინათ გარკვეული მდგომარეობა ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ პარტიული და კომკავშირული აქტივი თითქოს უბიძგებდნენ ერთმანეთს დასმენისაკენ. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის მოტანაც საკმარისი უნდა იყოს.

1938 წლის 13 იანვარს კომკავშირის ხაშურის რაიონის აქტივის კრებამ მოისმინა რაიკომის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის ალ. ზურაბაშვილის მოხსენება კომკავშირელთა განცხადებებზე, საჩივრებზე და სიგნალებზე რაიკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც ,,საღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობდა“. კრებაზე გამომსვლელები (რაიკომის თანამშრომლები – თ.ლ|) თვითკრიტიკით უდგებოდნენ რა თავიანთ მუშაობას, აღნიშნავდნენ, რომ კომკავშირის რაიკომი დროზე ვერ პასუხობს კომკავშირელთა საჩივრებსა და სიგნალებს. ითქვა, რომ ,,რაიკომის პასუხისმგებელ მუშაკებს (ზურაბაშვილს, მუმლაძეს, ტუსიაშვილს, ს. გელაშვილს) ჯიბით დააქვთ სიგნალები და არ არკვევენ მათში აღნიშნულ მდგომარეობას“.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რაიკომის მუშაკებს უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინათ არცერთი საჩივარი თუ სიგნალი, აუცილებლად უნდა მიეღოთ ზომები, მოეხდინათ რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ისინი აღმოჩნდებოდნენ ხალხის მტრების თუ არა, მათი მფარველების როლში.

კრებაზე დასახელდა არაერთი მაგალითი, რომელიც კომკავშირის რაიკომის მხრიდან გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვდა. კერძოდ, რაიკომს კომკავშირის რიგებიდან გაურიცხავს ალ. ნოზაძე, კომკავშირის ბილეთი კი არ ჩამოურთმევია და პირველადი ორგანიზაციის დახურულ კრებას დასწრებია.

მეორე მაგალითი: 1937 წლის 27 დეკემბერს რაიკომის ბიურომ კედლის გაზეთში დაშვებული პოლიტიკური შეცდომისათვის კომკავშირიდან გაირიცხა ვლ. გოგალაძე. ხოლო 13 იანვარს, როგორც პროპაგანდისტს, გაუგზავნა მიმართვა 16 იანვარს პროფსემინარზე დასასწრებად.

უფრო ,,მძიმე“ სურათი იხატება რაიაღმასკომის კომკავშირული ორგანიზაციის მაგალითზე, რომელსაც მოდუნებია რევოლუციური სიფხიზლე და კომკავშირლები ჭინჭარაძე, ჩადუნელი, პარტწევრობის კანდიდატი ნოზაძე და რაიაღმასკომის პარტორგანიზაციის კომიტეტის მდივანი ამხ. ღონღაძე კომკავშირიდან გარიცხულ ქებაძეს გაჰყვნენ ,,ბანკეტზე“.

ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა დასმენები, საჩივრებისა და სიგნალების ნიაღვარი პარტიისა და კომკავშირის რაიკომების მისამართით და არც შესაბამისი საჭირო ღონისძიებების გატარება დაყოვნდებოდა, რომ არა საკ კპ (ბ) ცკ-ის 1938 წლის იანვრის პლენუმის დადგენილება ,,პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კპ (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე”, რომელიც ადგილობრივ პრესაში 28 იანვარს გამოქვეყნდა.

დადგენილება ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით ბოლო მოეღოთ პარტიიდან მასობრივი, ხელაღებით გარიცხვებისათვის და ნამდვილად დაეწესებინათ ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცულთა აღდგენის საკითხების გადაჭრისას. ადგილებზე ცენტრალურ კომიტეტებს მიეცათ მითითება მოეხსნათ პარტიული თანამდებობიდან და პარტიულ პასუხისმგებლობაში მიეცემოდა ყველა ის პარტიული ხელმძღვანელი, რომლებიც არ ასრულებდნენ საკ. კპ (ბ) ცკ-ის დირექტივებს, პარტიიდან რიცხავდნენ პარტიის წევრებს და კანდიდატებს ისე, რომ გულმოდგინეთ არ ამოწმებდნენ მთელ მასალას და უშვებდნენ თვითნებობას პარტიის წევრთა მიმართ.

სამი თვის ვადაში უნდა მომხდარიყო პარტიიდან ყველა გარიცხულის აპელაციის განხილვა.

პარტიულ ორგანიზაციებს ევალებოდათ პარტიულ პასუხისმგებლობაში მიეცათ ის პირები, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ პარტიის წევრებისათვის ცილისწამებაში, უნდა მოეხდინათ პარტიის ასეთ წევრთა რეაბილიტაცია.
გაზეთმა ,,პრავდამ“ წამოაყენა ლოზუნგი: ,,რეაბილიტაცია ვუყოთ არასწორად გარიცხულთ, მკაცრად დავსაჯოთ ცილისმწამებელნი“.

თებერვლის დასაწყისიდან რაიონში დაიწყეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესწავლის კამპანია.

,,მაღალი პოლიტიკური აქტიობით ჩატარებულ კრებებზე, - წერდა გაზეთი ,,ბოლშევიკური სიტყვა“ 12 თებერვალს მოწინავეში ,,უნაკლოდ განვახორციელოთ“, - რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ეს დადგენილება წარმოადგენს ხალხის შენიღბული მტრების, კარიერისტ-კომუნისტების და ცილისმწამებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღს, რომლებიც ქარაფშუტულად ეკიდებოდნენ პარტიის წევრთა ბედიღბალს, ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ და დაწინაურებულიყვნენ პარტიიდან გარიცხვებით.

ცკ-ის დადგენილებაში მოყვანილი ფაქტების ანალოგიურ მაგალითებზე მოგვითხრობს რაიონში განვითარებულ მოვლენებზე. კერძოდ, აღნიშნულია: ,,ბოლშევიკური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში მოყვანილი მაგალითების ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ჩვენი რაიონის პირველად პარტორგანიზაციებშიც. პარტკომის ყოფილი მდივნები, ხალხის მტრები, მრავლად რიცხავდნენ ბოლშევიკური პარტიის რიგებიდან უდანაშაულო კომუნისტებს. ხალხის მტრებმა პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილების უქონლად, შემოწმების გარეშე პარტიიდან გარიცხეს 15-მდე კომუნისტი. გომის სპირტის ქარხნის დამკვრელი მუშა იოსებ ცხოვრებაშვილი გარიცხეს პარტიიდან, იმის გამო, რომ უყვარდა რა კრიტიკა, ამხილა სპირტის ქარხნის ყოფილი დირქეტორის უმსგავსო მოქმედებანი.

აგარის მტს-ის პარტორგანიზაციამ პარტიიდან უსაფუძვლოდ გარიცხა ნიკოლოზ ნოზაძე. ბრალი დასდო მას იმაში, რომ იყო რა მტს- შოფერი, მანქანით დაჰყავდა მტს-ის ყოფილი დირქტორი ხალხის მტერი და მასთან ჰქონდა კავშირი. ცილისმწამებლებმა ნოზაძის წინააღმდეგ სანამ მისი საკითხი პარტრაიკომის ბიუროზე განიხილებოდა, დამატებით დასწერეს ცილისმწამებლური ცნობები, ვითომ იგი მავნებელი იყო, რაიკომის ძველმა ,,ხელმძღვანელობამ“ შემოწმების გარეშე პარტიიდან გარიცხა ნოზაძე...

რაიონის კომკავშირის პირველად ორგანიზაციებშიც ხალხის მტერი, რაიკომის მდივნის ყოფილი მოადგილე პირველადი ორგანიზაციების და

(გაგრძელება IV გვერდზე))

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება)

რაიკომის ბიუროს დადგენილების გარეშე სწყვეტდა კომკავშირელის ბედ-იღბლის საკითხს. მან კომკავშირული ბილეთი ხელიდან გამოგლიჯა აქტიურ კომკავშირელ ვ. ჩიქოვანს, დღესაც არავინ იცის ჩიქოვანი რატომ არის დარჩენილი კომკავშირის გარეშე“. გაზეთი მოუწოდებდა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, გამოემჟღავნებინათ ცილისმწამებელი კარიერისტი-კომუნისტები და სათანადო პასუხი გაეცათ მათთვის. ,,მიუხედავად იმისა, რომ რაიონში დიდი მუშაობა მიმდინარეობს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისთვის, პირდაპირ შეიძლება, განვაცხადოთ, რომ რაიონის არცერთ პირველად პარტორგანიზაციას არ გამოუმჟღავნებია კარიერისტ-კომუნისტები და ცილისმწამებელნი...

ამჟამად, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტკომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესწავლას და უნაკლოდ განხორციელებას, რომ სასწარფოდ ლიკვიდაცია ვუყოთ დაშვებულ შეცდომებს. რევოლუციური სიფხიზლის ამაღლებით უნდა გამოვამჟღავნოთ პარტიისა და ხალხის მტრები, კარიერისტ-კომუნისტები და ცილისმწამებლები“ .

კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის მსგავსად, 27 მარტს, საქ. ალკკ ხაშურის რაიონულმა აქტივმაც განიხილა რაიკომის მდივნის ალ. ზურაბაშვილის მოხსენება საკ. ალკკ ცკ-ის მე-5 პლენუმის დადგენილების - ,,კომკავშირული ორგანიზაციების მიერ კომკავშირელთა გარიცხვის დროს დაშვებულ შეცდომებზე, საკავშირო ალკკ-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“ - შესახებ.

მომხსენებელმა მოიტანა ,,მრავალი ფაქტი იმისა, თუ ხალხის მტრები როგორ უსულგულოდ ეკიდებოდნენ კომკავშირელთა ბედ-იღბალს“. კამათში გამოსულები ახლა მონდომებით ამხელდნენ ახალ ,,ხალხის მტრებს“, რომლებიც გუშინ თავის მხრივ წარმატებით ამხელდნენ ასევე ,,ხალხის მტრებს“ და მათი დასმენებით ირიცხებოდნენ კომკავშირის რიგებიდან ახალგაზრდები.

კრებაზე გაირკვა, რომ რაიაღმასკომის კომკავშირის პირველადი ორგანიზაცია თავის რიგებიდან კომკავშირლებს უსაფუძვლოდ რიცხავდა. კომკავშირელ ვ. ღარიბაშვილს ცილი დასწამეს კოლმეურნეობაში მავნებლობაზე. კომიტეტის ყოფილი მდივანი ვ. ადამია უჯერებდა ცილისმწამებლებს და არ ამოწმებდა ფაქტებს. უკანასკნელ პერიოდში ამ ორგანიზაციიდან გარიცხული კომკავშირის 15 წევრი იქნა აღდგენილი. კრებაზე გაირკვა აგრეთვე, რომ კომკავშირის რაიკომიც უშვებდა უხეშ შეცდომებს. ფრანგიშვილი კომკავშირიდან გარიცხული იქნა ფარული ტროცკისტობის გამო. სათანადო ორგანოებმა კი მის მიმართ ვერავითარი ბრალდება მოიძიეს. ხალხის მტრებმა ანტიპარტიული ლაყბობის ბრალდებით მ. თათუნაშვილი გაარიცხვინეს კომკავშირიდან და მოახსნევინეს სამუშაოდან. შემდეგ გაირკვა, რომ ეს ბრლდებები მ. თათუნაშვილს ცილისმწამებელმა მ. მესხმა შეუთხზა.

ქალაქსა და რაიონში ფართოდ გაჩაღდა ცილისმწამებლების მხილება. ,,კიდევ უფრო ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე, გამოვავლინოთ ხალხის მტრები, კარიერისტები, თავკერძა კომუნისტები. მოვაცილოთ სამარცხვინო ლაქა ცილდაწამებულებს“ - მოუწოდებდა ადგილობრივი გაზეთი.

,,ხალხის მტრები, - აღნიშნავდა გაზეთი, – გაქნილი კარიერისტები, როგორც ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში აღნიშნავს, ცილისწამებისთვის იყენებდნენ გაზეთებს. როგორც ვიცით, გასულ წელს, გაზეთ ,,ბოლშევიკურ სიტყვა“-ს რედაქტორობდა ხალხის საზიზღარი მტერი ი. ბეშიძე. ხალხის ამ მტერმა გაზეთის ფურცლებზე გაამათრახა და ხალხის მტრების ნაბოლარად გამოაცხადა კომკავშირიდან გარიცხული ა.ი. კუჭაიძე. გამორკვევით დადასტურდა, რომ ა.ი. კუჭაიძეს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ხალხის მტრებთან. პირიქით, იგი დაუზოგავად ამხელდა ყველა მას, ვინც მავნებლობას ეწეოდა. კუჭაიძეს არასდროს მიუღია კომკავშირული სასჯელი. იგი ყოველთვის აქტიური მუშაკი იყო“.

კომკავშირის რაიკომის ბიურომ ა. კუჭაიძე აღადგინა კომკავშირის რიგებში. პარტიის წევრებმა, არ. ქალიაშვილმა და შ. ხაჩიძემ რაიაღმასკომთან არსებულ პირველად პარტორგანიზაციის წევრ კ. ხვედელიძეს ცილი დასწამეს, ვითომ მან 1919 წელს მენშევიკურ არმიაში გასცა კომუნისტები. პირველადმა ორგანიზაციამ ცილდაწამებული კ. ხვედელიძეგარიცხაპარტიისრიგებიდან.რაიკომისბიუროსსპეციალურმა კომისიამ შეამოწმა კ. ხვედელიძის მიმართ წაყენებული ბრალდებები, რომლებიც არ დადასტურდა. კ. ხევდელიძე აღადგინეს პარტიაში .

,,ყალბი სიფხიზლის მსხვერპლი“ აღმოჩნდა კონსტანტინე სხირტლაძე. ,,...ხალხის მტრის აგენტთან მუშაობდი, 60 მანეთი ყალბი საბუთი შეადგინე, მავნებლობას ეწეოდი, ამიტომ პარტიული ბილეთი უნდა დასტოვო, - განუცხადა რაიკომის ყოფილმა მდივანმა, ხალხის მტერმა ბეღელაძემ გომის პარტორგანიზაციის აქტიურ წევრს კონსტანტინე სხირტლაძეს. მას კრინტიც არ დააძვრევინეს და ხელიდან პარტიული ბილეთი წაართვეს. ხალხის მტრებმა სხირტლაძის საკითხის განხილვის უფლებაც არ მისცეს იმ პარტიულ ორგანიზაციას, რომელშიც იგი მუშაობდა“.

კ. სხირტლაძე სამსახურიდანაც მოხსნეს. იგი რამდენჯერმე მივიდა რაიკომში, ითხოვა, გამოერკვიათ მისი საქმე, მაგრამ რევოლუცური სიფხიზლის სპეკულიანტებმა ყურადღება არ მიაქციეს მის კანონიერ საჩივარს.

მხოლოდ 1938 წელს გახდა შესაძლებელი კ. სხირტლაძის პარტიულ რიგებში აღდგენა.

პარტიული კრებები აქტიურად იხილავდნენ ,,ცილდაწამებულთა“ საკითხებს რკინიგზის კვანძის პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც 24 იანვრიდან დაიწყეს პარტიის ცკ-ის დადგენილების შესწავლა და ცხოვრებაში განხორციელება. კრებებმა აქაც ,,აშკარად ნათელჰყვეს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო რკინიგზის ხაშურის პარტორგანიზაციაში ზოგიერთი კომუნისტის გარიცხვის დროს“.

საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციიდან ,,ხალხის მტრის – პარტკომის ყოფილი მდივნის მიერ გარიცხული იქნა სტახანოველი მემანქანე, ორგანიზაციის აქტიური წევრი დიმიტრი კაპანაძე. გარიცხვის მოტივად მოტანილი იყო მისი ბიძაშვილის ტროცკისტობა.
ხალხის მტრების დავალებით კაპანაძის დაცვისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხეს მემანქანე კოლია მეყანწიშვილი“.

რკინიგზის მცველთა ორგანიზაციიდან პოლიტიკური მოუმზადებლობის ბრალდებით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე პარტიიდან გარიცხეს ვ. შალიბაშვილი. რკინიგზის კვანძის პარტიული ორგანიზაციების მიერ რაიონული კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი ზემოთ აღნიშნული ამხანაგებისა და იმ ამხანაგების პარტიაში აღდგენაზე, რომლებიც უდანაშაულოდ უყვნენ გარიცხულნი პარტიის რიგებიდან. 15 აპრილს რაიაღმასკომის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ აღმასკომის ,,კომკავშირის პირველადი ორგანიზაციიდან უმართებლოდ რიცხავდნენ აქტიურ კომკავშირლებს. 26 წევრიდან გარიცხული იქნა 14, რომლებიც აღდგენილი იქნენ“.

კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ ,,ბოლშევიკური სიფხიზლე რაიაღმასკომის პარტორგანიზაციაში ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ბევრს უდანაშაულოდ და ცილისმწამებელთა ბრალდებებით რიცხავდნენ პარტიიდან. პარტიიდან უდანაშაულოდ გარიცხულნი: შ. დარჯანია, მ. ლომსაძე, ნ. კაბერაშვილი და სხვები საკ. კპ (ბ) ცკ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ აღდგენილ იქნენ პარტიის რიგებში. ამ ორგანიზაციაში თავდაზღვეულობასაც ფართედ ჰქონდა ფეხი მოდგმული. კარიერისტი სევერიან ბრეგვაძე ბევრს უყენებდა უსაფუძვლო ბრალდებებს, მას საამისოდ სიაც კი ჰქონდა ჩამოწერილი, ვინც კი აწყენინებდა, ყველას მავნებლს ეძახდა და სამუშაოდან თანამშრომლებს უდანაშაულოდ ხსნიდა“.

კრებაზე, იმის მაგალითად, თუ როგორ შეუმოწმებლად რიცხავდნენ პარტიის რიგებიდან წევრებს, დასახელებული იყო რაიაღმასკომის პარტკომის მდივნის პ. მეტრეველის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. 1937 წელს მასზე ,,ვიღაცამ უსაფუძვლო სიგნალები შეიტანა რაიკომში და მყისვე ყოველგარი გამორკვევის გარეშე დასვეს საკითხი პარტკომის გადარჩევის შესახებ, სასწრაფოდ მოიწვიეს კრება და გააკეთებინეს გ. მეტრეველს საანგარიშო მოხსენება. გატარებული მუშაობა იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ რადგან მეტრეველის პარტკომის მდივნობიდან მოხსნა წინასწარ გადაწყვეტილიყო, მუშაობა სუსტად ჩაუთვალეს და არამარტო პარტიის რიგებიდან გარიცხეს, არამედ თანამდებობიდანაც გადააყენეს”.

ასეთი არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება, ახლა იმ ხალხს რიცხავდნენ პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან, ვისი დასმენებითაც გუშინ იყვნენ რეპრესირებულნი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, თუ უბრალოდ მოქალაქეები.

ახლაც მკაცრად გმობდნენ იმ პირებს ვისაც მოდუნებული ჰქონდა რევოლუციური სიფხიზლე. 1938 წლის 15 აპრილს საქ. კპ ხაშურის რაიკომთან არსებულ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანაგრიშო კრებაზე კამათში გამოსული კომუნისტები ,,კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით ამხელდნენ პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ დეფექტებს“ და მიუთითებდნენ ზოგიერთი კომუნისტის რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების ფაქტზე. კრებაზე ,,გაკრიტიკებული იქნა ამხ. დ. ნასყიდაშვილი, რომელმაც გააჭიანურა შემოსული სიგნალების გამორკვევა ხალხის მტრის კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ“.

1938 წლის 23 მაისს საქ კპ (ბ) ხაშურის რაიონის ორგანიზაციის მე-17 კონფერენციაზე რაიკომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ირ. ღუდუშაური აღნიშნავდა: ,,რაიონში მოკალათებულმა, ამჟამად გამომჟღავნებულმა ხალხის მტრებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს რაიონის მეურნეობას, პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ხალხის მტრებისგან თავიანთი რიგების გასაწმენდად“. მანვე ,,მკაცრად გააკრიტიკა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, კერძოდ მან ილაპარაკა პარტიიდან კომუნისტების არასწორად და ხელაღებით გარიცხვის შესახებ, რაც საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ გამოსწორებული იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობა, იმისათვის, რომ პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის დროს დაშვებული შეცდომები გამოასწოროს“.

,,დაშვებული შეცდომების” გამოსწორებას ორი ათეული წელი მოუნდა.

1938 წლის 2 მარტს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაიწყო ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” საქმის მოსმენა.

ადგილობრივ გაზეთში 3 მარტს გამოქვეყნდა საკდესის ცნობა ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” შესახებ. იმავე დღიდან გაზთის ფურცლებზე გაჩნდა ლოზუნგი: ,,სიკვდილი ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” მონაწილეებს“, ,,გავანადგუროთ ხალხის მტრები, სამშობლოთი მოვაჭრენი“, ,,გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

26 აგვისტოს მოსული უხვი ნალექის შედეგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყაში წარმოიქმნა მეწყრული პროცესი

სტიქიურმა მოვლენამ დააზიანა მეორე ხარისხოვანი გზა. შედეგად, რამდენიმე ოჯახს, გადადგილების მხრივ, აღნიშნულ გზაზე, პრობლემა შეექმნა, თუმცა, მოქალაქეები გარე სამყაროს არარიან მოწყვეტილები, გზის აღდგენამდე მათ ალტერნატიული გზით სარგებლობა შეუძლიათ.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ადგილზე სწავლობენ ვითარებას. შემდგომი გადაწყვეტილებების შესახებ მოსახლეობას მოგვიანებით ეცნობება. პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სოფელ ვაყაში, მუნიციპალიტეტის მიერ გასულ წლებში მოწყობილია ნაპირდამცავი გაბიონი, სწორედ აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად მეწყრული პროცესი ნაკლები ზიანის მომტანი აღმოჩნდა.

სურამის სამუსიკო სკოლას ახალი შენობა ექნება

სურამის მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2023 წლის ნოემბრის თვეში, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, სურამის სამუსიკო სკოლის შენობის მდგრადობა შეისწავლა ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ. შედეგად დადგინდა, რომ შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს დემონტაჟს.

ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ავარიული შენობიდან პერსონალის და მოსწავლეების ალტერნატიულ ფართში გადაყვანა. სოციალური ქსელის მეშვეობით მუნიციპალიტეტმა მაშინვე გაავრცელა განცხადება, შენობის ავარიული მდგომარეობის და დემონტაჟის საჭიროების შესახებ.

პარალელურად მუნიციპალიტეტმაგამოაცხადა საპროექტო ტენდერი შენობის დემონტაჟის პროექტის შესასყიდად. აღნიშნული პროექტი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 112 000 ლარს, მომზადდა და მუნიციპალიტეტის მერიას ჩაბარდა მიმდინარე წლის აგვისტოს დასაწყისში.

შესაბამისად, სურამის სამუსიკო სკოლის დემონტაჟისთვის საჭირო პროცედურები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

რაც ეხება სურამის სამუსიკო სკოლის შემდგომ ბედს, გაცნობებთ, რომ უკვე დასრულებულია ტენდერი, რომლითაც სურამის კინოთეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია იგეგმება. სურამის სამუსიკო სკოლა სწორედ აქ დაიდებს ბინას.

რეაბილიტირებულ შენობაში გარდა სამუსიკო სკოლისა, გადავა სურამის ბიბლიოთეკაც. აქვე მოეწყობა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც.

პროფესიული კოლეჯი “ქართლი” სწავლის მსურველთა რეგისტრაციას იწყებს

პროფესიულ კოლეჯ “ქართლში” 2024 წლის #2_სექტემბრიდან_დაიწყება_სწავლის_მსურველთა_რეგისტრაციის_პროცესი ადგილობრივ შრომის ბაზარზე პრიორიტეტულად მოთხოვნადი პროფესიული მიმართულებების პროგრამებზე:

1. პროფესიული მომზადების პროგრამა - #ხელით_ელექტრორკალური_შედუღება:

• პროგრამის ხანგრძლივობა-13 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 200 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

2. პროფესიული მომზადების პროგრამა - #ზოგადი_ელექტრო_სამონტაჟო_სამუშაოები:

• პროგრამის ხანგრძლივობა-13 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 200 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

3. პროფესიული მომზადების პროგრამა - #კომპიუტერის_ქსელური_და_პროგრამული_მხარდაჭერა:

• პროგრამის ხანგრძლივობა -18 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 274 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

4. პროფესიული მომზადების პროგრამა - #საავტომობილო_შიდაწვის_ძრავების_კვების_სისტემის სერვისი:

• პროგრამის ხანგრძლივობა-13 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 200 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

5. პროფესიული მომზადების პროგრამა - #სანტექნიკური_სამუშაოები:

• პროგრამის ხანგრძლივობა-11 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 165 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

6. პროფესიული მომზადების პროგრამა - #ხე_ტყის_დამზადება_და_ტყის_დაცვის_სამუშაოები”

• პროგრამის ხანგრძლივობა-12 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 166 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

აღნიშნულ პროგრამებზე #სწავლა_უფასოა - სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ცალკე გამოცხადდება რეგისტრაცია-სწავლის დაწყების დრო და პირობები მე-7 პროფესიული მომზადების პროგრამაზე: #ბუღალტრული_აღრიცხვის_საფუძვლები_და_კომპიუტერული_პროგრამა_„ორისი“.

• პროგრამის ხანგრძლივობა-19 კვირა, საკონტაქტო საათების რაოდენობა - 216 სთ, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა-15

პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი დარგის #მაღალკვალიფიციური_მასწავლებლების მიერ.

პროგრამების წარმატებით დასრულებისას კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი #სერთიფიკატი.

კოლეჯში შექმნილია წარმატებულ კურსდამთავრებულთა #დასაქმება_თვითდასაქმების_მხარდაჭერის_სერვისები.

პროფესიულ კოლეჯ “ქართლში” #პირველი_სასწავლო_წელი_2024_წლის_15_ოქტომბრიდან_დაიწყება

პროგრამებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე - კოლეჯში ვიზიტით (დამატებით გამოქვეყნდება აპლიკანტთა რეგისტრაციის ინსტრუქცია, მსმენელთა შერჩევისა და პროგრამებზე ჩარიცხვის გრაფიკი და პროცედურები).

ადმინისტრაცია

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988 კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494 კვ.სმ.).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 20 თეთრს (ერთი გვერდი - 197 ლარი და 60 თეთრი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 15 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში - 148 ლარი და 20 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 74 ლარი და 10 თეთრი.

გაზეთის “ხაშურის მოამბე” - რედაქცია

სოფელი გომი. სიკვდილთან მებრძოლი მუხა.
ნიკა კიკაძის ფოტო

პირველკურსელთა საყურადღებოდ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში, გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ სტუდენტების დაჯილდოებას, რომლებმაც 2024 წელს წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღეს 100%-იანი გრანტი (არ იგულისხმება უფასო ფაკულტეტები და ჩაბარების შემდგომ მოპოვებული შიდა გრანტი).

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

პირადობის მოწმობის ასლი;

სწავლის დამადასტურებელი ცნობა საჯარო ან კერძო სკოლიდან;

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა 100%იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შესახებ;

საბანკო რეკვიზიტები (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები).

დოკუმენტები მიიღება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში 29 აგვისტოდან 19 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა).

საკონტაქტო პირი: ბესიკ გაჩეჩილაძე

საკონტაქტო ნომერი: 591057369; (0368) 24-24-56.

მუნიციპალიტეტის მერია

ტრენინგი ახალგაზრდებისათის

ა(ა)იპ ორგანიზაციამ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“, პროექტის ფარგლებში: “ხაშურის ახალგაზრდული სივრცის განვითარება ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისა და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით”, ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში განახორციელა ტრენინგი და Workshop-ი თემაზე “პიროვნული განვითარება და ლიდერობა”.

შეხვედრას გაუძღვა ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს ასოცირებული პროფესორი დოდო ჭუმბურიძე.

აღნიშნული შეხვედრები ხორციელდება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.